ლიტერა

№7, 2014

ძვირფასო ბავშვებო, ჟურნალის ამ ნომრის გვერდები განსხვავებულია წინამორბედისაგან. თქვენ, ალბათ, ისინი ფოთლებშემოძარცულ ხეებს მოგაგონებთ. ვიფიქრეთ, ზაფხულია, ბავშვები ისვენებენ, თავისუფალი დრო მეტი აქვთ და ჟურნალის წაკითხვასთან ერთად ერთ კარგ საქმესაც გააკეთებენ-თქო: რედაქცია საშუალებას გაძლევთ, „დილის“ თანამშრომლები გახდეთ, მხატვრის ფუნქცია იკისროთ და ჟურნალს ჩვეული ფერადოვნება დაუბრუნოთ.

აბა, თქვენ იცით, პატარებო, როგორ შეასრულებთ მხატვრის ფუნქციას.

ბედნიერ დასვენებას გისურვებთ.

ფოსტალიონი რედაქციიდან ადრიანად გამოვიდა და „დილის“ ახალი ნომრების ჩამორიგება დაიწყო. ცოტა ხანში მიხვდა, რომ ორი ეგზემპლარი აკლდა და უკან მიბრუნდა. ერთ-ერთ სახლში ჩაიზე მიიპატიჟეს, ბოდიში მოიხადა, სხვებთან შემაგვიანდება, ბავშვები სულმოუთქმელად მელიან და დარიგებას რომ დავასრულებ, მეც შემოგიერთდებითო. პირობა მართლაც შეასრულა. ამ ნახაზზე ნაჩვენებია ყველა გზა, რომელიც ფოსტალიონმა გაიარა. როგორც აღმოჩნდა, მას ერთ ქუჩაზე ორჯერ არ გაუვლია. როგორი იყო „დილის“ ფოსტალიონის მარშრუტი და რომელ სახლში მიირთვა ჩაი?



თუ გინდა, ჩვენმა ფოსტალიონმა შენც სახლში მოგიტანოს „დილის“ ნომრები, სთხოვე მშობლებს, გამოგიწერონ ჟურნალი. ამისთვის საჭიროა დარეკონ პრესის გავრცელების სააგენტოებში: საქპრესა (ტელ: 2 51 85 18, 577 97 90 20 (თბილისი), 579 79 66 06 (ქუთაისი), 579 79 66 02 (თელავი), 579 79 66 08 (რუსთავი), ან გამოიწერონ სახლიდან გაუსვლელად ვებგვერდის — www.elva.ge-ს საშუალებით (2 38 26 73 ან 2 38 26 74). გამოწერის მსურველებს დამატებითი ინფორმაციისთვის შეუძლიათ დარეკონ ტელეფონზე: 2 93 69 77

ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲯᲔᲯᲡᲔᲑᲘ

ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲥᲕᲚᲘᲕᲘᲫᲔ

ᲒᲝᲒᲘᲡ ᲗᲕᲚᲐ ᲘᲡᲬᲐᲕᲚᲐ

ᲒᲝᲒᲘ ᲘᲗᲕᲚᲘᲡ: – ᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢ, ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢ,
ᲗᲥᲕᲡᲛᲔᲢ, ᲩᲕᲘᲓᲛᲔᲢ, ᲗᲕᲠᲐᲛᲔᲢᲘ...
– ᲛᲔᲠᲔ? – ᲛᲔᲠᲔ ᲪᲮᲠᲐᲛᲔᲢᲘ ᲓᲐ
ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ... Ა Თ Მ Ე Ტ Ი!

ᲜᲝᲓᲐᲠ ᲯᲐᲚᲐᲚᲝᲜᲘᲐ

ᲝᲥᲠᲝᲡ ᲗᲔᲕᲖᲘ

ᲛᲐᲛᲐᲛ ᲥᲘᲚᲘᲗ ᲝᲥᲠᲝᲡ ᲗᲔᲕᲖᲘ
ᲛᲝᲣᲛᲕᲐᲜᲐ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲘᲠᲐᲡ.
ᲗᲐᲜᲐᲪ ᲣᲗᲮᲠᲐ: ᲗᲔᲕᲖᲡ ᲡᲯᲘᲠᲓᲔᲑᲐ
ᲬᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲚᲐ ᲔᲝᲕᲔᲚ ᲥᲕᲘᲠᲐᲡ.
ᲨᲔᲕᲘᲡᲙᲘᲡᲐ ᲘᲠᲐᲛ ᲛᲐᲛᲐᲡ:
– ᲜᲣ ᲛᲐᲢᲔᲣᲔᲑ, ᲐᲠ ᲕᲐᲠ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ,
ᲗᲣ ᲐᲡᲔᲐ, ᲛᲐᲨ ᲛᲘᲗᲮᲐᲠᲘ
ᲬᲔᲐᲚᲡ ᲕᲘᲜ ᲣᲪᲕᲚᲘᲡ ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲡ ᲖᲦᲕᲐᲨᲘ.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ

ᲛᲝᲙᲠᲘᲫᲔ ᲚᲐᲗᲕᲘ

ᲢᲔᲣᲨᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲒᲐᲕᲘᲒᲒ!
ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲡᲐᲘᲡᲢᲝᲠᲘᲝ:
ᲙᲠᲘᲕᲨᲘ ᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝᲑᲡ ᲓᲐᲗᲣᲜᲐ,
ᲕᲔᲠ ᲣᲮᲝᲕᲘᲐ ᲢᲝᲚᲘᲝ...
ᲠᲘᲜᲒᲖᲔ ᲡᲣᲤᲔᲚᲐ ᲒᲐᲣᲠᲑᲘᲡ, –
ᲛᲢᲔᲠᲡ ᲛᲝᲮᲕᲓᲐ ᲛᲐᲒᲘᲡ ᲢᲝᲠᲘᲝ!..



ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ ᲨᲔᲠᲐᲖᲐᲓᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲣᲖᲠᲓᲔᲚᲘ ᲙᲝᲖᲐᲙᲘ

ᲔᲡ ᲛᲘᲐᲛᲑᲔᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲪᲘᲡ
ᲕᲔᲠᲮᲕᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲗᲮᲚᲔᲑᲛᲐ:
ᲯᲘᲣᲢ ᲙᲝᲖᲐᲙᲡ ᲣᲖᲠᲓᲔᲚᲐᲓ
ᲣᲡᲬᲐᲕᲚᲘᲐ ᲤᲣᲠᲗᲮᲔᲑᲐ...
ᲓᲔᲓᲐ ᲐᲥᲚᲔᲛᲡ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘᲗ
ᲗᲣᲠᲛᲔ ᲫᲘᲚᲘ ᲣᲤᲠᲗᲮᲔᲑᲐ!..

პატარა ზებრა

ავტორი და მხატვარი
ნუცა ალხაზაშვილი,10 წლის

ერთ ზებრას შვილი გაუჩნდა. პატარა ძალიან საყვარელი იყო, ჩხირივით გრძელი, წვრილი ფეხები ჰქონდა, ტანზე კი ლამაზი შავი ზოლები დაჰყვებოდა. გაჩნდა თუ არა, მაშინვე ძუძუს ეცა. ცოტა რომ წამოიზარდა, სხვა ზებრების მსგავსად ბალახის ძოვა დაიწყო. სულ დედას დასდევდა, გვერდიდან არ სცილდებოდა. ერთხელ, როდესაც ჯოგთან ერთად ბალახობდა, საშინელი ღრიალი მოესმა. ხმაზე იცნეს – ეს ლომი იყო. დამფრთხალი ზებრები თავპირისმტვრევით გაიქცნენ. ლომი მაინცდამაინც პატარა ზებრას გაეკიდა. ის იყო, ბრჭყალები უნდა ჩაესო, რომ უცებ პატარამ დრუნჩში ტლინკი უთავაზა. ლომი არ მოელოდა, ეტკინა და დაიბნა. ამასობაში საშველად დედა მოვარდა, პატარა, ყოჩაღი შვილი წინ გაიგდო და ვიდრე მტაცებელი გონს მოვიდოდა, ერთად მიეფარნენ თვალს.

ამის შემდეგ დედა-შვილი ბედნიერად ცხოვრობდა.

იპოვე ნახატში დამალული 10 ცხოველი

ცრუბუხა ბიჭის ღელი

ლალი ჯაფარაშვილი





მხატვარი **ნანა სანაია**

შეაერთე წერტილები და გააფერადე

მართალია, რომ...?



... ჩიტს ფრენის დროს ძილი შეუძლია?

წარმოიდგინეთ, ასეთი ჩიტებიც არსებობენ: მზის ჩასვლისას ნამგალები მაღალ სიმაღლეზე აფრინდებიან და ფრენის დროს იძინებენ, გათენებისას კი მიწასთან ახლოს ბრუნდებიან.

... სპილო ერთადერთი ცხოველია, რომელსაც თავზე დგომა შეუძლია?

დიახ, მხოლოდ სპილო და ადამიანი ფლობენ ამ უნარს.

... პეპლები მხოლოდ ერთ დღეს ცოცხლობენ?

არა, ეს სიმართლე არ არის. ზოგიერთი პეპელა რამდენიმე თვეს ცოცხლობს და გამოსაზამთრებლად თბილ ქვეყნებშიც კი მიფრინავს.

... არსებობს თუთიყუში, რომელსაც ფრენა არ შეუძლია?

დიახ, მსოფლიოში ასეთი თუთიყუშის მხოლოდ ერთი სახეობა არსებობს – კაკაპო. ის ახალ ზელანდიაში ცხოვრობს. ფრთები, რა თქმა უნდა, აქვს და მისი ქნევაც შეუძლია, მაგრამ კუნთები განუვითარებელი აქვს და ამიტომ ვერ დაფრინავს. სამაგიეროდ, კარგი ალპინისტია, მას შეუძლია ხის კენწეროზე აძვრეს და იქიდან გადმოხტეს გაშლილი ფრთებით.

ინოვე ნიკოლოზი,

ფიზიკოსი ანალიტიკოსი სტუდენტი

ბაყაყი და ყორანი

თარგმნა
მარინე ამბარდნიშვილმა

ერთხელ ყორანმა მსუქანა ბაყაყი დაიჭირა და მეზობელი სახლის სახურავზე აფრინდა, რათა ნანადირევი მშვიდად შეესანსლა. [ ] დასვა თუ არა, [ ] მხიარულად დაიყიყინა.

– დაო ბაყაყო, რა გაცინებს? – ჰკითხა [ ].

– არაფერი, [ ]! ამ სახლის სხვენში ჩემი ძმა ცხოვრობს. შენ არც კი იცი, რა ძლიერი და დაუნდობელია, ჩემს წყენას არავის შეარჩენს.

ბაყაყის ნათქვამი ყორანს არ ეამა, ბაყაყს ნისკარტი დასტაცა და ერთ რუს გადაუფრინა. მწვანე არსება კი უფრო მხიარულად აყიყინდა.

– შენ რა, ისევ იცინი? – ჰკითხა ყორანმა.

– არ ვიცი, ღირს კი ამ წვრილმანის შეხსენება? ბიძაჩემი სწორედ ამ [ ] ცხოვრობს, ჩემს ძმაზე ძლიერი და დაუნდობელია.

ყორანს შეეშინდა და გადაწყვიტა, იმ მიდამოებს გასცლოდა, სადაც ბაყაყის ძლიერი და დაუნდობელი ნათესავები ცხოვრობდნენ. მსხვერპლი ისევ ნისკარტში მოიქცია, კარგა ხანს იფრინა და ბოლოს ერთი ჭის ახლოს ჩამოჯდა. ბაყაყი მიწაზე დასვა და ჰკითხა:

– აქაც შენი [ ] ხომ არ არიან?

– არა, აქ ჩემიანი არავინ ცხოვრობს, – საწყალი ხმით მიუგო ბაყაყმა.

ის იყო, ყორანმა ნერწყვი [ ] და მსუყე ლუკმისკენ თავი დახარა, რომ...

– ძმაო ყორანო! რა ჭუჭყიანი ნისკარტი გაქვს? არ ჯობდა, ჭამის წინ გაგეწმინდა და გაგელესა? აქვე ბრტყელი ქვა დევს, გამოგადგება.

„[ ] ნამდვილად უნდა გავილესო“, – გაიფიქრა მტაცებელმა, [ ] ეცა და ნისკარტის ლესვას შეუდგა.

როგორც კი მსხვერპლისკენ მიტრიალდა, სასოწარკვეთილმა ბაყაყმა ისკუპა და [ ] გაუჩინარდა.

ყორანი აქეთ ეცა, იქით ეცა, ჭაში გადაეყუდა და ძირში ბაყაყი შეამჩნია.

– დაო ბაყაყო, აქა ხარ? – ალერსიანად ჰკითხა ყორანმა, – შემეშინდა, მეგონა სულ დაგკარგე. ამოდი, ჩემი ნისკარტი ისეთი სუფთაა და ალესილი...

– ძმაო, ყორანო! მოხარული ვიქნებოდი, მაგრამ ამოსვლა არ შემიძლია. ჯობს, შენ ჩამოხვიდე და აქ შემჭამო, – ამ სიტყვებს ჭის ფსკერიდან ბაყაყის მხიარული [ ] მოჰყვა...

ᲕᲐᲡᲘᲚ ᲒᲣᲚᲔᲣᲠᲘ
ᲜᲐᲬᲘᲛᲐᲠᲖᲔ ᲐᲛᲝᲕᲘᲚᲐ,
ᲗᲐᲕᲖᲔ ᲥᲣᲓᲘ ᲓᲐᲘᲙᲝᲡᲐ.
ᲬᲐᲕᲣᲚᲔᲑ ᲓᲐ ᲒᲐᲕᲐᲮᲐᲠᲔᲑ
ᲩᲔᲛᲡ
ᲞᲐᲢᲐᲠᲐ
ᲓᲐᲘᲙᲝᲡᲐ.

იპოვე შვიდი განსხვავება

ᲔᲜᲘᲡ 110 ᲔᲜᲘᲡ 110 ᲔᲜᲘᲡ 110 ᲔᲜᲘᲡ

მართალია, რომ...?

... ვეფხვს მარტო ბეწვი კი არა, კანიც ზოლიანი აქვს?

ეს მართალია! თან თითოეული ზოლი ისევე უნიკალურია, როგორც თითის ანაბეჭდი. ვეფხვს 100-ზე მეტი ზოლი აქვს ტანზე. ზოლიანი ბეწვი ძალიან მოსახერხებელია ბალახსა და ბუჩქებში შესანიღბად. თუ ბეწვს გავპარსავთ, ზოლები მაინც დარჩება! ასე რომ, თუ ვეფხვი გამელოტდა, საგანგაშო არაფერია.

... ზღარბი სოკოს და ვაშლს ზურგით ატარებს?

ეს ტყუილია! როგორც აღმოჩნდა, ზღარბს მატლებისა და ხოჭოების ჭამა უყვარს. სოკოს და ვაშლს რომც ეტანებოდეს, მისი თრევით თავს არ შეიწუხებს და ადგილზევე მიირთმევს, რადგან ზღარბი ზამთრის ხანგრძლივი ძილისთვის ცხიმის მარაგს ორგანიზმში იგროვებს. და კიდევ – მისი ეკლები ბასრი მხოლოდ საფრთხის მოახლოებისას ხდება.



... დიდი კუები ტირიან?

სანაპიროზე კუები ნამდვილად ცრემლად იღვრებიან. ამ ხერხით ისინი თვალებს ისუფთავებენ ქვიშისგან.



... ოპოსუმი შეიძლება შიშისგან მოკვდეს?

სულაც არა! ოპოსუმი მხოლოდ თავს იმკვდარუნებს. თვალები შუშისებური უხდება, პირიდან ქაფი გადმოსდის და უსიამოვნო სუნს აყენებს, რის გამოც მტაცებელი მის მიმართ ინტერესს კარგავს და გარბის.

ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲬᲣᲜᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ
ᲡᲣᲚᲘᲡᲛᲔᲠᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲫᲣᲜᲯᲘ.

გამოიცნონ ჩვცოსრიებმა

ნათია ჯანაშია

***

ძილი უყვარს ძალიან,
უფრო მეტად – თაფლი,
ბაჯბაჯა და მსუქანა,
რა იქნება? - . . . . .

***

ფურთხება უყვარს, კუზი ქავს
ორი,ან ერთით ნაკლები,
ზრდილობა ვერ უსწავლია.
რა ცხოველია? - . . . . . .

***

პურის ყანისკენ გაიქცა,
შორი გ ზა ხტუნვით გალია,
მწვანე სამოსი აცვია.
გამოიცანი! – . . . . .

***

იცის, დიდთავა შეარქვეს,
ამით არ იტეხს გულს,
ღამით ფხიზლობს და დღე სძინავს,
რა ფრინველია ? – . .

რაგბი





რაგბი (ინგლ. rugby – ქალაქი ინგლისში) გუნდური სპორტული თამაშია ოვალური ბურთით. მოთამაშეთა მიზანია მოწინააღმდეგის კარში რაც შეიძლება მეტი ბურთის გატანა ან პირით ხაზს იქით დამიწება.

რაგბის დაბადების თარიღად მიჩნეულია 1823 წლის 7 აპრილი. გადმოცემის მიხედვით, 16 წლის უილიამ უებ ელისმა, რომელიც ინგლისის ქალაქ რაგბის სკოლის ფეხბურთელთა გუნდის წევრი იყო, თამაშის დროს წესი დაარღვია – ბურთს ხელი სტაცა და მეტოქის კარისკენ გაიქცა, რითაც დასაბამი დაუდო სპორტის ახალ სახეობას. სადღეისოდ ეს ვერსია ოფიციალურად უარყოფილია, მაგრამ რაგბის მთავარი ჯილდო, მსოფლიოს თასი, მაინც ელისის სახელს ატარებს, რაგბის კოლეჯის კედელს კი დღემდე ამშვენებს მემორიალური დაფა წარწერით: „დაე, ეს დაფა გვახსენებდეს უილიამ უებ ელისის დიდებულ საქციელს, ვინც გაბედა წესის დარღვევა, ხელში აიტაცა ბურთი და გაიქცა. ასე წარმოიშვა თამაში რაგბი 1823 წელს“. სინამდვილეში თანამედროვე რაგბისა და ფეხბურთის წინამორბედი მართლაც ერთი თამაში იყო, სახელწოდებით – football. თამაში ხელითაც შეიძლებოდა და ფეხითაც. 1845 წელს ქალაქ რაგბის სკოლის რამდენიმე მოსწავლემ დაწერა თამაშის წესები. აქედან მომდინარეობს თამაშის ოფიციალური სახელწოდება – rugby-football. 1863 წლამდე, სანამ ინგლისში ფეხბურთის ასოციაცია ოფიციალურად ჩამოყალიბდებოდა, გუნდები მატჩის წინ თანხმდებოდნენ, როგორ ეთამაშათ – ფეხბურთის თუ რაგბი-ფეხბურთის წესებით. განსხვავება ის იყო, რომ რაგბიში შეიძლებოდა ბურთის ხელში დაჭერა. 1869 წელს ფეხბურთში საბოლოოდ აიკრძალა ხელით თამაში.

1871 წელს დაფუძნდა ინგლისის რაგბის კავშირი(RFU), რომელმაც 21 ინგლისური კლუბი გააერთიანა. კავშირმა შეადგინა და გამოაქვეყნა თამაშის ოფიციალური წესები.

რაგბის ქართველ წინაპარს გურიაში „გატანიე ბურთს“ (ლელო-ბურთს) ეძახდნენ. ამ თამაშს სახალხო სპორტის სახე ჰქონდა: ორ მოწინააღმდეგე გუნდს, რომლებსაც სხვადასხვა კუთხის ან სოფლის მცხოვრებნი წარმოადგენდნენ, ერთგული გულშემატკივრები შეძახილით ამხნევებდნენ, წესრიგს კი მსაჯები – მხცოვანი თავადები იცავდნენ. თამაშის არსი იყო ბურთის გატანა მოწინააღმდეგის ლელოში. გუნდში ყველამ თავისი მოვალეობა იცოდა: ერთი





მსაჯები



მღლეტელი იყო, მეორე – გამქცევი, მესამე – გზის ამრევი, სხვანი – გამქცევის დამცველი, გზა-გზა დამალული შემცვლელი, მარქაფა შემონახული მოთამაშეები... წესებიც არა დაწერილი, მაგრამ მკაცრად განსაზღვრული იყო. ამიტომ არის, რომ ქართველებს რაგბი წმინდა წყლის ბრიტანულ თამაშად არ მიაჩნიათ: საქართველოში სპორტის ამ სახეობის მიმართ სიყვარული და ერთგულება გარკვეულწილად ლელობურთის დამსახურებაცაა.

რა თქმა უნდა, თანამედროვე რაგბის წესები უფრო მკაცრი და დახვეწილია, ვიდრე „გატანიე ბურთისა“. თითქმის ყოველწლიურად მასში ცვლილებები შედის.

თუ გადაწყვიტე, თვალყური ადევნო რაგბის მატჩს, უნდა იცოდე ის ელემენტარული წესები, რომლებზეც ჩვენ ვისაუბრებთ. სხვაგვარად თამაშს ალღოს ვერ აუღებ. აი, წესებიც:

რაგბის გუნდში 15 ძირითადი და 7 სათადარიგო მოთამაშეა. მატჩი მოიცავს ორ ტაიმს (თითოეულის ხანგრძლივობა – 40-40 წუთი).

თამაშს იწყებს ის გუნდი, რომელმაც კენჭისყრაში გაიმარჯვა, მაგრამ არ გაგიკვირდეს, თუ მეორე გუნდმა დაიწყო – ეს იმას ნიშნავს, რომ იღბლიანმა კაპიტანმა თამაშის დაწყებას მოედნის სასურველი მხარის არჩევა ამჯობინა. ბურთს ურტყამენ შუა ხაზიდან.

რაგბიში ბურთის წინ გადაწოდება აკრძალულია. ნებისმიერ ვითარებაში მოქმედებს თამაშგარე მდგომარეობის წესი, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ ბურთიან თავდამსხმელზე წინ არც ერთი თანაგუნდელი არ უნდა იყოს. გუნდს წინ წაწევა შეუძლია მეტოქეზე მიძალებით, ხელდახელ ბურთობითა და ბურთის ფეხით დარტყმით. თავის დამცველ გუნდს შეუძლია ბურთიანი მეტოქის შებოჭვა და წაქცევა.

თამაშში ხშირად იქმნება სტანდარტული სიტუაციები. წინ თამაშის ან ბურთის შეფერხების გამო ინიშნება შერკინება, რომელშიც ორივე მხრიდან 8-8 მორკინალი მონაწილეობს. ბურთის აუტზე გასვლისას მის მოსაპოვებლად ეწყობა ე. წ. დერეფანი. ბურთიანი მოთამაშის შებოჭვის შემთხვევაში იწყება ბურთისთვის ჯგუფური ბრძოლა, რომელსაც ეწოდება რაკი ან მოლი. უხეში თამაშისათვის მორაგბე შეიძლება გააძევონ 10 წუთით ან თამაშის ბოლომდე.

თამაშში მთავარია, ბურთი ხელთ იგდო და მეტოქის ლელოსკენ გაიქცე.

მხატვარი **გია ლაფაური**



ჩამოთვლილ

თუ კარგად იცი, რა ჰქვია ქვემოთ ჩამოთვლილ ნადირ-ფრინველთა შვილებს, ამ კროსვორდსაც ადვილად შეავსებ:

1. ცხვარი
2. აქლემი
3. ლომი
4. სპილო
5. კატა
6. ღორი
7. ბელურა
8. მტრედი
9. ცხენი
10. ყვავი
11. თაგვი
12. ბატი
13. დათვი
14. ძაღლი
15. არწივი
16. კურდღელი
17. შველი

ავიაციური



გადახაზე ასოები, რომელიც მოსწონდეს, დარჩენილით კი ააწყვე სიტყვა და ჩაწერე ცარიელ ყუთებში.

მთავარი რედაქტორი: **დოდო წივნივაძე**
ნახატი ყდაზე: **როენა შელეგიასი**

მის.: **ზანდუკელის ქ. 1, ტელ.: 2 93 69 77**
http://www.dila.ge, https://www.facebook.com/dila1904, ელ-ფოსტა: **dila1904@yahoo.com**